სადოქტორო პროგრამის სახელწოდება: ფოლკლორისტიკა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: თეიმურაზ ქურდოვანიძე, თსუ ასოცირებული პროფესორი

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება: სადოქტორო პროგრამა ფოლკლორისტიკაში არის ინტერდისციპლინური _ ფოლკლორისტიკა როგორც ემპირიული მეცნიერება თავისი მეთოდებითა და თეორიებით მჭიდრო კავშირშია როგორც ლიტერატურათმცოდნეობასთან და ლინგვისტიკასთან, ისე ეთნოლოგიასთან, ფილოსოფიასთან და ისტორიის მეცნიერებებთან. მიუხედავად ამისა, ფოლკლორისტიკა დამოუკიდებელ დისციპლინას წარმოადგენს, რომელიც თავისი შესწავლის ობიექტის – ხალხური შემოქმედების კვლევის მეშვეობით კულტურის განვითარების კანონზომიერებებსა და სპეციფიკას ადგენს სოციალურ, ლოკალურ, რეგიონალურ და ეპოქალურ პრობლემატიკასთან კავშირში.

ა) პროგრამის მიზანი:
წინამდებარე სადოქტორო პროგრამა მიზნად ისახავს დოქტორანტების მომზადებას საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებით და ბოლონიის პროცესის მოთხოვნების თანახმად. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტმა უნდა შეძლოს როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობის მიღება სამეცნიერო მოთხოვნების შესაბამისად.
სადოქტორო პროგრამა ფოლკლორისტიკაში ორიენტიერებულია თანამედროვე დასავლეთ ევროპული და ამერიკული ფოლკლორისტული სკოლების უახლესი მიღწევების გამოყენებაზე ქართულ მეცნიერებაში.
მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფოლკლორისტიკის დასავლეთ ევროპული სკოლები ტრადიციული სიძველეთმცოდნეობიდან თანდათან კრიტიკულ კულტურულ ანალიზამდე და ყოფის ემპირიულ გამოკვლევამდე მივიდნენ. სადოქტორო პროგრამა ფოლკლორისტიკაში ძირითადად ამ საკითხებზე კონცენტრირდება:

- ტექსტის ანალიზი;
- ფოლკლორულ ჟანრთა სპეციფიკის კვლევა;
- მთხრობლებისა (ჰომო ნარან) და თხრობის კონტექსტის შესწავლა;
- შესრულების ტრადიციის კვლევა;
- ფოლკლორისტიკა როგორც ცნობიერების კვლევა და სხვა.

ბ) პროგრამის შედეგი: ფოლკლორისტული კვლევის შედეგებს შეუძლია დახმარება გაუწიოს სხვადასხვა მეცნიერებას თანამედროვეობის კულტურის ანალიზში.
დოქტორანტურაში სწავლის დასრულებისა და აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ ფილოლოგიის დოქტორი შეძლებს:

- მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ;
- სამეცნიერო სტიპენდიებისა და გრანტების დამოუკიდებლად მოპოვებას.
- მას ექნება მეთოდოლოგიური, კოგნიტური, ლინგვისტური და ტექნოლოგიური ზოგადი უნარები:
- ყოველდღიური ყოფის კონკრეტული სფეროების _ მატერიალური კულტურის, წეს-ჩვეულებების, თხრობის, სიმღერების, ქორეოგრაფიის _ დღევანდელი ფუნქციებისა და ისტორიული განვითარების ეტაპების ანალიზის უნარი;
- სოციალურ და ეთნიკურ ჯგუფთა ზეპირსიტყვიერი კულტურის ფორმათა ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- დარგობრივ სფეროში ახალი მეთოდების შემუშავების უნარი.

გ) კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები:
ფილოლოგიის დოქტორი შეიძლება დასაქმდეს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სტრუქტურებში სამეცნიერო თუ პრაქტიკული საქმიანობის ხაზით. დოქტორანტი, რომელიც წარმატებით დაასრულებს სადოქტორო პროგრამას ფოლკლორისტიკაში, როგორც კვალიფიციურ სპეციალისტს, საშუალება ექნება ფოლკლორის კვლევის მიმართულებით იმუშაოს:

- სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სამეცნიერო პროექტებში;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შესაბამისი ტიპის ადგილობრივ სამხარეო და ადგილობრივ დეპარტამენტებში;
- საქართველოსა და საზღვარგარეთის ქართველოლოგიურ კვლევით ცენტრებში;
- საგამომცემლო და პერიოდული პრესის რედაქციებში;
- მასმედიაში ექსპერტად და კონსულტანტად;
- სამთავრობო და კერძო სტრუქტურების მეცნიერ-ექსპერტად.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- მაგისტრის ხარისხი, ან მასთან გათაბრებული ერთსაფეხურიანი სწავლების დიპლომი ნებისმიერ ჰუმანიტა¬რულ მეცნიერებებში;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგუ¬ლი) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი

სასწავლო კომპონენტი:
წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს ზოგადი და სპეციალური დის-ციპლინების სწავლებას. დოქტორანტი პერიოდულად ჩააბარებს ანგარიშს კოლოკვიუმის სახით, მიიღებს გამოცდილებას დისკუსიაში მონაწილეობისათვის, გამოავლენს დამოუკიდებელი კვლევის უნარს.
დოქტორანტურისთვის განკუთვნილი 180 კრედიტიდან 60 ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 სადისერტაციო ნაშრომს

სავალდებულო სასწავლო კომპონენტები (სულ 25 კრედიტი):

- სწავლების თანამედროვე მეთოდები - 5 კრედიტი
- დოქტორანტის I კოლოკვიუმი - 5 კრედიტი
- დოქტორანტის II კოლოკვიუმი - 5 კრედიტი
- პროფესორის ასისტენტობა - 5 კრედიტი
- მეცნიერების მენეჯმენტი - 5 კრედიტი

არჩევითი სასწავლო კომპონენტები:

- საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები - 5-30 კრედიტი
- პრაქტიკა - 5-10 კრედიტი
- საქართველოს სხვა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსი/კურსები - 5-15 კრედიტი
- კვლევის მეთოდები - 5 კრედიტი
- აკადემიური წერა- 5 კრედიტი
- ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა/სწავლებაში და ელექტრონული კურსების შექმნა - 10 კრედიტი
- სხვა სახის აქტივობა - 5-10 კრედიტი

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფოლკლორისტიკის დეპარტამენტს აქვს სათანადო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა. დოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს: ფოლკლორისტიკის კაბინეტით, თსუ ფოლკლორული არქივით, ფაკულტეტის ბიბლიოთეკით, თსუ ინტერნეტული მომსახურების ცენტრით.

რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი:
პროგრამაში ჩართული პროფესორებისა და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით შესაძლებელია 2 დოქტორანტის მიღება.

სადოქტორო პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალი:

- თეიმურაზ ქურდოვანიძე,
- ქეთევან სიხარულიძე , თსუ ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი. საკონტაქტო ინფორმაცია: საქართველო, თბილისი, ამაღლების ქ. #26; ტ.: 92-01-10; მობ. : 877 72 03 72 (ბინა).e-mail.: ksikharulidze@hotmail.com

სამეცნიერო კვლევის სფერო:

- ქართული ფოლკლორისტიკის ისტორიოგრაფია,
- ფოლკლორი და ლიტერატურა,
- ქართული ფოლკლორის ჟანრები.